ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37211761**
თარიღი:**25/06/2021**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე შეისწავლა ქ. ოზურგეთში კიტა მეგრელაძის ქუჩა #8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს, ფასადისა და სარდაფის ფაქტობრივი მდგომარეობა და დაადგინა:

1. ზემოთ აღნიშნული აღნიშნული სახლის ეზო, ფასადი და სახლის მიწისქვეშა სარდაფი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, კერძოდ კი:
   - საცხოვრებელი სახლის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე სავალალო მდგომარეობაა. სახლის წინა და უკანა მხარეზე გაჩენილია ორმოები, რომლებშიც დგას წყალი, სახლის უკანა მხარეს დაყრილია მიწა, რომელიც ანტისანიტარიის ძირითადი წყაროა, სადარბაზოებში შესასვლელი ადგილები ამოტეხილია;
   - სახლის ფასადი დაზიანებულია. ნალექიან ამინდში კედლებიდან მობინადრეთა ბინებში შედის წყალი. გარდა აღნიშნულისა, სახლის ვიზუალური მხარე ელემენტარულად ვერ აკმაყოფილებს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სახლის მოთხოვნებს.
   - საცხოვრებელი სახლის სარდაფში დგას კანალიზაციის მიღებიდან გადმოღვრილი ფეკალური მასა. წყალი იღვრება სასმელი წყლის მილებიდანაც. სარდაფიდან ამოდის სუნი, რომელიც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას.

კომისიამ დაადგინა: ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ოზურგეთის კიტა მეგრელაძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება გაითვალისწინოს 2022 წლის ბიუჯეტში.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი